საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბეზენგის კედელი

ბეზენგის კედელი, ფიცრულა, ქედი მესტიის მუნიციპალიტეტში, კავკასიონის მთავარი ქედის ყველაზე მაღალი, 12 კმ სიგრძის მონაკვეთი. კედელივით არის აღმართული ბალყარეთსა (ჩრდ-ით) და ზემო სვანეთს (სამხრ-ით) შორის. ბ. კ-ს საქართველოში ხალდის კედელსაც ეძახიან. ბ. კ-ზე გაშიშვლებულია კავკასიონის კრისტ. გულის ქანები – ნაცრისფერი გრანიტოიდები, რ-ითაც აგებულია ბ. კ-ის უმაღლესი მწვერვალები: ლალვერი, გისტოლა, კატინთაუ, ჯანღა, შოთა რუსთაველის მწვერვალი, შხარა; მათ შორის 4400–4100 მ სიმაღლის უღელტეხილებია.

ბ. კ-იდან ჩრდ-ით ეშვება კავკასიონის ერთ-ერთი უდიდესი ბეზენგის მყინვარი, ხოლო სამხრ-ით – ხალდისა და შხარის მყინვარები.

ბ. კ-ის მწვერვალების ტრავერსი ერთ-ერთი უძნელესი ალპინისტური მარშრუტია კავკასიონზე.

მ. უთმელიძე